საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6681
07/11/2022

6681-21-2-202211071647

**შპს „მაბის“**
**მის:** ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქვემო მელითონეთა №20
**ელ. ფოსტა:** ananuriplus2021@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5214 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მენესოს მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის წარმოდგენის საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტი. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოსთვის შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების საცავის (დიზელის საწვავისათვის) მოწყობა, აღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძვლად ასევე მითითებული უნდა იყოს შესაბამისი პუნქტი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებული დიზელის საწვავის რეზერვუარის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, რეზერვუარის მოცულობა; ტიპი; ავტოტრანსპორტის საწვავით გამართვის, გადახურვისა და განთავსების საკითხი (მიწისზედა, მიწისქვეშა); რეზერვუარის განთავსების GPS კოორდინატები; სასუნთქი სარქველების ტექნიკური პარამეტრები (სიმაღლე, დიამეტრი), გეგმაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიაზე დაგეგმილია ნავთობპროდუქტების რეზერვუარის განთავსება, შესაბამისად, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების გარდა სხვა პოტენციური დამაბინძურებელი ნივთიერებების არსებობის შესახებ;
- დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოსათვის წყალჩაშვება გათვალისწინებულია მდ. არაგვში. გაცნობებთ, რომ „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილების თანახმად, მდ. არაგვი მიეკუთვნება სასმელ-სამეურნეო კატეგორიის მდინარეს. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში

წარმოდგენილი უნდა იყოს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წერილობითი პოზიცია საწარმოს ჩამდინარე წყლების მდინარე არაგვში ჩაშვებასთან დაკავშირებით;

- დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, “საწარმოო დანიშნულების წყლის აღება მოხდება მდ. არაგვიდან”. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარიდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მდინარე არაგვის წყალაღების კვეთში არსებული ჰიდროლოგიური რეჟიმის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ხელოვნური ტბორის მონაცემების შესახებ (მოცულობა და სხვა);
- წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საწარმოში დასამონტაჟებელი დანადგარებისა (ტიპი, სიმძლავრე) და სთ-ში/დღეში გადასამუშავებელი ნედლეულის მოცულობა;
- სკრინინგის განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო